N604 2015 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის „საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოქმის დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1.
„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2015 წლის 2 ნოემბერს ხელმოწერილი „საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის „საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ოქმი.

მუხლი 2.
საგარეო საქმეთა სამინისტრომ:
ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ოქმის დადების შესახებ;
ბ) შეატყობინოს ესტონეთის რესპუბლიკის მხარეს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ოქმის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**